



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030181188641217

№ 01-95/ო

10 / მაისი / 2017 წ.

„პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებების: „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებები“; „ვირუსული სტომატიტები“; „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სოკოვანი ინფექციები (მიკოზები)“; „ალერგიული სტომატიტები“; „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ცვლილებები დერმატოზების დროს“; „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მორეციდივე აფთები“; „ენის დაავადებები“; „ტუჩების დაავადებები (ჰეილიტები)“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის № 249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაილაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის №94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:


1. დამტკიცდეს პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები:

- ა) „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებები“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №1);
- ბ) „ვირუსული სტომატიტები“- კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №2);
- გ) „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის სოკოვანი ინფექციები (მიკოზები) - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №3);
- დ) „ალერგიული სტომატიტები“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №4);
- ე) „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ცვლილებები დერმატოზების დროს“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №5);
- ვ) „პირის ღრუს ლორწოვანი გარსის მორეციდივე აფთები“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №6);
- ზ) „ენის დაავადებები“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №7);

თ) „ტუჩების დაავადებები (ჰეილიტები)“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) – (დანართი №8).

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი



დავით სერგეენკო